**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება**

**№059/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის, მეთოდოლოგიისა და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი
ადამი (ვახტანგ ახალაძე)

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, დაფუძნებულს უნივერსიტეტის რესურსებზე, სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებზე.

**მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები**

სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია:

ა) ადამიანური (აკადემიური) რესურსი;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) საინფორმაციო რესურსი;

დ) ფინანსური რესურსი.

**მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები**

3.1. უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების მნიშვნელობებს, რომელთა შესრულების პირობებში უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი, სტაბილური, ეფექტიანი და ეფექტური ფუნქციონირება და განსაზღვრული მიზნების მიღწევა, გააჩნიათ შემდეგი სამიზნე ნიშნულები:

3.1.1. ადამიანური რესურსი

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრულ რაოდენობის და თანაფარდობა (3.1.2. ა) პუნქტი) არ აღემატება 1/20;
- მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან მიმართებით არ აღემატება 1/2;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და არ აღემატება 5%-ს;
- ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა არ აღემატება 1/5.

3.1.2. მატერიალური და საინფორმაციო რესურსი

ა) მატერიალური რესურსი - 9.30-21.30 სამუშაო საათების განმავლობაში უნდა იძლეოდეს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით სტუდენტთა მომსახურების საშუალებას, რაც გულისხმობს: საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტით (მოდული/სასწავლო კურსი) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიების, ლაბორატორიების, კლინიკების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში ქონას (შესაბამისი მემორანდუმების და ხელშეკრულებების საფუძველზე); ასევე საბიბლიოთეკო რესურსების, სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასააუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას, კერძოდ:

- სასწავლო ფართი - ერთ სტუდენტზე მინიმუმ 2,5 $მ^2$;
- ფოიეები, საპროფესოროები და სხვა თავისუფალი სივრცეები - სასწავლო ფართის 20%;
- სარეკრეაციო სივრცე - ღია სივრცის მინიმუმ 10%;
- კომპიუტერული ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკასა და საკონსულტაციო სივრცეებში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა - სტუდენტთა რაოდენობის არა უმეტეს 1/15;
- საბიბლიოთეკო რესურსი - ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა (ბეჭდვითი ან ელექტრონული),

რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, ასევე პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატის სარგებლობის შესაძლებლობით;

. ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზები;

• მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის;

• სპორტული, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებისათვის საჭირო მოედნები, დარბაზები და სხვა სივრცეები - ერთ სტუდენტზე 0,2 მ$^2$.

3.1.3. ფინანსური რესურსი და მდგრადობა უნივერსიტეტში განათლებისა და კვლევის ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროებია:

• სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური;

• სასწავლო და სასწავლო სამაგისტრო გრანტები;

• საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები;

• ეკონომიური საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

• სახელშეკრულებო პირობებით შესრულებული სამუშაოთა ანაზღაურება;

• საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3.2. ფაკულტეტის საბჭოს მიერ ყოველწლიურად მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი.

3.3. სტუდენტთა საერთო კონტინგენტი განისაზღვრება ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად და არ უნდა აღემატებოდეს 350-ს.